სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/31

ქ. თბილისი 18 აპრილი 2022 წ.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ენერგეტიკის ფაკულტეტის სტუდენტ გიორგი ციკოლიასათვის სტიპენდიის დანიშვნის თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის, 43-ე მუხლის პირველი პუნქტის „ი“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ჩ“ ქვეპუნქტის, 39-ე მუხლის მე-3 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის, უნივერსიტეტის შინაგანაწესის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, უნივერსიტეტის სასწავლო პროცესების მართვის დეპარტამენტის უფროსის, თამარ წერეთლის სამსახურებრივი ბარათისა და აკადემიური საბჭოს 2022 წლის 18 აპრილის №01-05-02/11 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ენერგეტიკის ფაკულტეტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის („ენერგეტიკა და ელექტროინჟინერია“) სტუდენტს, გიორგი ციკოლიას (პირადი №62709012338), რომელსაც „სახელმწიფო სტიპენდიები სტუდენტებს“ პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 27 ნოემბრის №1131254 ბრძანების შესაბამისად, „დიმიტრი გულიასა და კოხტა ხეთაგუროვის სახელობის სტიპენდიები სტუდენტებს“ ქვეპროგრამის ფარგლებში 2020/2021 წლიდან დანიშნული ჰქონდა დიმიტრი გულიას სახელობის სტიპენდია თვეში 300 ლარის ოდენობით და საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის ვადის გასვლის გამო შეუჩერდა

სტიპენდიის გაცემა, გაუგრძელდეს სტიპენდიის გაცემა უნივერსიტეტის ასიგნებების ფარგლებში 2021/2022 სასწავლო წლის განმავლობაში თვეში 300 ლარის ოდენობით (2021 წლის ოქტომბერი, ნოემბერი, დეკემბერი; 2022 წლის იანვარი, თებერვალი, მარტი, აპრილი, მაისი, ივნისი, ივლისი);

2. დადგენილება დასამტკიცებლად გადაეცეს უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს (სენატს);

3. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №64.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **დ. გურგენიძე**

აკადემიური საბჭოს მდივანი **ი. კუტუბიძე**